№ 272
ხუთშაბათი, 16 დეკემბერი 1893

1877—1893

# ივერია

№ 272
ხუთშაბათი, 16 დეკემბერი 1893

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად:**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, წმ. გიორგის ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის მწერლის

**ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის**

სულის მოსახსენებლად.

განსვენებულს ანდერძს აუგებენ კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზედ, რის შემდეგაც მიცვალებულის გვამი წასვენებულ იქმნება სოფ. ყაზბეგში საგვარეულო სამარხში დასაკრძალავად.

---

**„ივერია“**
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

---

ორშაბათს, 20 დეკემბერს, **ტფილისის სობრანიაში** დანიშნულია

**კონცერტი**

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.
კონცერტის შემდეგ

**ბალი**

დაწვრილებით აფიშაში იქმნება გამოცხადებული.
ბილეთების სყიდვა შეიძლება წერა-კითხვის კანცელარიაში და სობრანიაში.

---

## ტფილისი, 16 დეკემბერს

—

ახალ ჩეხთა მეთაურმა, დეპუტატმა გრეგრმა, წარმოსთქვა ამ დღეებში ავსტრიის პარლამენტში სიტყვა, რომელიც შეეხება ამ ზაფხულს მთავრობის მიერ მოხდენილს განკარგულებას.

სეკტემბრის დამდეგს ტააფეს სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, რომ პრაგაში შემოეღო ზოგიერთი სამხედრო წესები, რადგანაც ჩეხებმა შეურაცხ-ჰყვეს იმპერიის დროშა და გერბი.

ასეთი საქციელი ჩეხთა მით უფრო მოულოდნელი და სამწუხარო იყო, რომ ამ დაპყრობილმა გარეშე ტომის ერმა მიიღო ავსტრიის ხელმწიფისაგან ამ ოცის წლის განმავლობაში ყველა ის უფლებანი და სიმართლე, რომლის წყალობით ერს შეუძლიან თავისუფალი განვითარება და დაწინაურება. დღეს ჩეხებს აქვთ საკუთარს ენაზე: თავისუფალი მწიგნობრობა, საკუთარი სამართალი, უფლება თავისუფლად შეკრებისა და მსაჯულობისა, ნაციონალური სკოლა, უნივერსიტეტი, ერობა საკუთარი პარლამენტი და უკანასკნელად—საკანონ-მდებლო სიმართლე საიმპერიო პარლამენტში. ეხლა ჩეხებს ისეთივე წარმომადგენელნი ჰყავთ ავსტრიის პარლამენტში, როგორც ავსტრიის სახელმწიფოს უმთავრესს ტომს—გერმანელებს.

ყოველივე ესე ჩეხებმა მიიღეს ავსტრიისაგან სულ ამ 15—20 წლის განმავლობაში, მაგრამ ისინი მაინც არ კმაყოფილდებიან და ავსტრიის დროშასა და გერბს ფეხ-ქვეშა სთელავენ.

ამ საგანზედ ჩვენ ვსთქვით ამას წინად, რომ დაპყრობილს ერს, რომელსაც ასე მცირე ხანში, ამოდენი უფლება და სიმართლე მიენიჭა ავსტრიის იმპერატორისაგან, არ შეჰფერის ამავე მეფის დროშისა და გვირგვინის შეურაცხ-ყოფა.

ჩვენ ეხლაც იმასვე ვფიქრობთ და ვიტყვით, რომ ახალ-ჩეხთაგან გამართული სეკტემბრის დემონსტრაცია პრაგაში უტაქტობისა და სიჩქარის ნაყოფი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანი და კეთილ-გონიერნი ასე არ აქცევიან ამ გვარ შემთხვევაში.

გარეშე დროსა და გარემოებათა არც ერთს საგნის შესახებ კანონიერის მსჯავრის დადება არ შეიძლება.

ამიტომ, როდესაც ტფილისში ვსწერთ ამ წერილს და ვაკვირდებით ახალ-ჩეხთა მდგომარეობას და მათგან მოხდენილ დემონსტრაციას, იმათი საქციელი ჩვენ არ გვესმის და კიდევ ვიტყვით, რომ „სწორედ ახირებული პრეტენზიაა“.

იქნება ჩვენ რომ სხვა პლანეტზე ვიყოთ ამ ჟამად, სადაც სულ სხვა გვარი გარემოება და ცხოვრებაა—შესაძლოა სხვა აზრისა ვყოფილვიყავით. მაგრამ ეხლა, ამ დროს, იმედი გვაქვს, რომ ასეთის აზრის წარმოთქმა შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს.

მეორე მიზეზი კიდევ არის, რომლის გამო არ მოგვეწონა ახალ-ჩეხთა დემონსტრაცია; ეს ის მიზეზია, რომ ჩვენ საჭიროდ არა ვსთვლით, წაღმა-უკუღმა იაფის ფასის ლიბერალობა გავწიოთ. ამას გარდა უნდა გამოვტყდეთ, რომ არც ორგანოს, რომელსაც თავის ღირსება ესმის და არც ჩვენს ხანს ასეთი ლიბერალობა აღარ შეშვენის.

თუმცა ახალ-ჩეხთა ყოფა-ქცევამ გაგვაკვირვა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ჩვენს წერილში იმის შესახებ, რომ სამხედრო წესის შემოღება პრაგაში მოსაწონია და თანაგრძნობის ღირსიო.

ასეთის წესის შემოღება, რასაკვირველია, სრულიად გარდამეტებული იყო, რადგანაც ყოველს ქვეყანაში საკმაო მტკიცე და მძიმე კანონებია, რომ შეჰლაგმოს საზოგადო, თუ კერძო დანაშაულობა. მაგრამ ამ საგანზედ ლაპარაკი ვაცალოთ თითონ ახალ-ჩეხთა მეთაურს—დეპუტატს გრეგრს, რომელიც ასე განმარტებს ავსტრიის პარლამენტში თავის აზრს.

„მართალია, პრაგაში საზოგადოებრივი წესი და რიგი იმდენად იყო დარღვეული, რომ სისხლის სამართალი უნდა ჩარეულიყო საქმეში, მაგრამ დამნაშავეთა დასასჯელად მთავრობას საკმაო საშუალება ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებულ, საგანგებო ღონისძიებათა ხმარებას, ასეთი ღონისძიებანი აძლიერებს ჩეხთა უკმაყოფილებას და ასუსტებს ერთგულებას ჰაბსბურგის მონარხიის მიმართ.

შემდეგ განაგრძობს ახალგაზრდა მეთაური. გერმანელთა სარგებლობის მხრივ სასურველია, რომ ვენაში კარგად იცოდნენ აზრი ერისა, იმიტომ რომ ის კი არ ემსახურება ერთგულად სახელმწიფოს, ვინც ერის გულის პასუხსა ჰფარავს, არამედ ის, რომელიც დროზედ ამცნევს სათრთხილოსა და საშიშს. ჯერ კიდევ არ ითქმის, რომ მთელი ჩეხთა ერი მტრულის თვალით უყურებდეს ავსტრიას, მაგრამ თუ ეს საგანგებო ღონისძიებათა ხმარება კიდევ რამდენსამე თვეს განაგრძო, თვით ერთგულესნიც-კი უკმაყოფილოთა მიემხრობიან.

ავსტრია ვერ მოითხოვს ავსტრიის მამულის სიყვარულს, თუ ჩეხი ბოჰემიაში თავის თავს ბედნიერად არა ჰგრძნობს, ტიროლელი—ტიროლში, პოლონელი—გალიციაში. ავსტრია მხოლოდ საერთო სახელია და ეს სახელი მშობელს ქვეყნის სახეს ვერავის დაუყენებს თვალწინ—ყოველის ჩეხისათვის წმინდა სახელი ბოჰემიაა. შეიძლება მოგვეცით, რომ ჩვენსავე ქვეყანაში ბედნიერნი ვიქნეთ, ჩვენს თავს თავისუფლად ვგრძნობდეთ, და მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება იმ მოლოდინისა, რომ ავსტრიისათვის თავს დასდებენ ჩეხნი, რადგან მაშინ ავსტრიის სახელთან ჩეხის სამშობლოს სახელიც იქნება დაკავშირებული“.

რა ზომამდეც სეკტემბერში მომხდარი უწესოება ბოჰემიის სატახტო ქალაქში უკადრისი და გადაჭარბებული იყო, იმდენად გონიერია და ჭეშმარიტი ის აზრები, რომელსაც ასეთის მჭევრ-მეტყველებით წარმოსთქვამს ავსტრიის პარლამენტში ჩეხთა დეპუტატი გრეგრი.

ავსტრიას, რასაკვირველია, საკმაო ბეჯითი კანონები აქვს, რომ სამხედრო წესების შემოუღებლადაც მოუაროს ქვეყანას და დასაჯოს დამნაშავენი. სამხედრო კანონების შემოღება ჩეხების მიმართ სრულიად გარდამეტებული და მავნებელი ღონეა, არა თუ ჩეხთათვის, არამედ თითონ ავსტრიის იმპერიისათვის, რადგანაც ხმალი, სახრობელა და სამარე არავის გულში არ გააღვივებს არც სიყვარულს და არც ერთგულებას.

მეველე

---

**სამძიმრის დეპეშები**

აი კიდევ ზოგიერთის სამძიმრის დეპეშები, რომელიც მოუვიდა ჩვენს რედაქციას ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო.

ოზურგეთიდამ: დღეს, 14 დეკემბერს, გადახდილ იქმნა პანაშვიდი დაუვიწყარ ბელეტრისტის ალ. ყაზბეგისათვის. მრავალი თავად-აზნაურობა და ქართველობა დაესწრო პანაშვიდს. ყველანი სწუხდნენ და გლოვობდნენ საუკუნოდ სახსენებელს და სამაგალითო მამულიშვილს.

წინამძღოლი ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობისა თ. გუგუნავა

—

იქიდამვე: დიდად ვსწუხვართ გარდაცვალებას ალ. ყაზბეგისას, რომელიც იყო უკეთესი შვილი საქართველოსი და რომელიც გვიხატავდა და გვითვალისწინებდა ჩაგრულთა და შეურაცხყოფილთა ცხოვრებას.

ქართველნი მასწავლებელნი

—

იქიდამვე: ეს-ეს არის გადავიხადეთ პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფასის ბელეტრისტისათვის. ხალხი მრავლად დაესწრო და ჰგლოვობდა საქართველოსთან ერთად დაკარგვას ალ. ყაზბეგისას, რომელიც ნუგეში და თავმოსაწონებელია ჩვენთვის.

ქალაქის დეპუტატი სპ. მენაბდე

—

მოსკოვიდამ: აქაურ ქართველობის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი დაუვიწყარ მამულის შვილ ყაზბეგისათვის. პანაშვიდზე ქართული გალობა იყო. ძეგლისათვის ვგზავნით 15 მანათს.

ქართველიშვილი

—

კარშავიდამ: დიდად შევწუხდით ნიჭიერ ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის გარდაცვალებით.

—

განჯიდგან სომხის ახალგაზდობა: გულწრფელად გავიზიარებთ მწუხარებასა ქართველის ერისას ნიჭიერ ბელეტრისტის ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებისა გამო.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

—

მე ყოველთვის დიდად პატივისმცემელი ვიყავ ყმაწვილის ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭისა და ვწუხვარ, რომ ჩემის მოხუცების გამო ვერ შევიძელი გარეგანი პატივი მეცა იმის გვამისათვის.

სულით და გულით მონაწილე ვარ იმ მწუხარებისა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ გამოაცხადა ასრე მხურვალედ გარდაცვალებისა გამო ამ ფრიად ნიჭიერის ყმაწვილი კაცისა.

კონსტანტინე მამაცაშვილი

---

**ალ. ყაზბეგის დასაფლავების გამო**

რატომ ერთს გარემოებას არ მივაქცევთ ყურადღებას? რად ვაშორებთ ყოველ ქართველისათვის ძვირფასს ცხედარს ჩვენს დედა-ქალაქ ტფილისს და ვკრძალავთ სოფლებში, მონასტრებში, სხვა ქალაქებში?! განა ერისათვის თავ-დადებული, გამოჩენილი კაცი, სამშობლოს მოღვაწე ეკუთვნის თავის ოჯახობას, თავის სოფელს? განა საჭირო-ღაა ვისთვისმე ამის პასუხად ვსთქვათ, რომ არა, ამ გვარი კაცი ყველას გვეკუთვნის; ის არის ჩვენი დიდება, გამამხნევებელი მაგალითი შემდეგის თაობისათვის! თუ ასეა, რატომ დედა-ქალაქში, სადაც ჩვენის ერის მაჯა სცემს, სადაც სძგერს მისი გული, სადაც წარსულის ჩვენი დიდების ნაშთი სხვაც ბევრი გვაქვს—არ გავიჩინოთ ჩვენდა შესაფერი პანტეონი ან მამა-დავითისა და ან დიდუბის ეკკლესიის ზღუდეთა შორის? ნუ თუ სასარგებლო არ იქნება—მშვენიერის ქანდაკებით მორთული სამშობლო მოღვაწეთა სასაფლაო ყოველთვის თვალ-წინ გვქონდეს სამაგალითოდ ჩვენც და ჩვენს შემდეგს თაობათაც?

კ. მესხი

ქუთაისი
14 დეკემბერს

---

# ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელის განკარგულებით, თანახმად 13 სექტემბრის უმაღლესის ბრძანებისა, კავკასიის სამხედრო-ოლქის სასამართლოს გადაეცა საქმე ბიჭია მაღრაძისა და სოლომონ დევდარიანისა, რომელთაც ჰბრალდებათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მარელისის უფროსის ბირდინის დაჭრა. ორივე

დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან. გამომძიებელმა უკვე გაათავა ამ საქმის გამოძიება. (»Кавк.“)

⁂ ამას წინად მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმირმა ინება და დაამტკიცა მზრუნველად ტფილისის სამების ეკკლესიის სამრევლო სკოლისა კნეინა ანნა ივანეს ასული, მეუღლე თავად პორფირი ბარათაშვილისა.

⁂ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმირმა ამ დღეებში ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა თხოვნა გაუგზავნა განსახილველად უწმიდეს სინოდს.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ამ დღეებში დეპეშა მოუვიდა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომლითაც თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე მიწვეულია სამსახურის გამო პეტერბურგში, სადაც ამ დღეებში გაემგზავრება.

⁂ გუშინ ტფილისში დაბანაკებულ ჯარს სამხედრო სეირნობა ჰქონდა. ჯარი კოჯორში გაემგზავრა.

⁂ კვირას, ამ თვის 19-ს, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში დანიშნულია წლიური აქტი.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს აუწყებენ, რომ ახალქალაქის მაზრის სოფ. სათხოში სახადი გაჩნდაო. სახადით ამ ჟამად ამ სოფელში ექვსი კაცია თურმე ავად.

⁂ ნიკიტინის ცირკი გუშინ როსტოვიდგან გამოვიდა, ტფილისს ჩამოვა ამ თვის 22-ს. ცირკის შენობა დასრულებულ იქნება ამ თვის 23 და წარმოდგენები საშობოთ დაიწყება.

⁂ კავკასიაში კალიის გასაწყვეტად საგანგებო ბეგარა უნდა დააწესონ 1894 წლიდგან.

⁂ ამ თვის 14-ს, ნაშუადღევის 3 საათზედ სომეხთა, ვანქის ტაძრის ახლოს, ვიღაც ავაზაკებმა ბორჩალოდგან ტფილისში ჩამოსული გლეხი შაველდოვი და მელიქ ბოლაზოვი გაძარცვეს. საბრალოებს თან 320 მანეთი ჰქონიათ სოფლის ფული, რომელიც ხაზინაში უნდა შეეტანათ. მძარცველნი ჯერაც არ აღმოუჩენია პოლიციას.

⁂ ჩვენ მოგვივიდა საგარეჯოდგან შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად 25 მან.

⁂ 18 დეკემბერს სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაარსების შესახებ. ყველა უწყებამ უკვე წარუდგინა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს თავისი მოსაზრებანი ზემოხსენებულ პროექტის შესახებ.

⁂ ფინანსთა სამინისტროში გაწერილ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორის ლ. დ. სლობოდნიკოვის თავმჯდომარეობით დაიწყება კრება კომისიისა ახალის წესის შემოღების შესახებ იმ გარდასახადის გამოსართმევლად, რომელსაც ახდევინებენ მემკვიდრეობით გადაცემულ მამულებს. ამ გარდასახადის რაოდენობას ეხლა სასამართლო გადასწყვეტს ხოლმე. ამიერიდგან განზრახვა აქვთ ამ გარდასახადის რაოდენობა ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტოს ხოლმე.

⁂ ტიბაანი (სიღნაღის მაზრა). არხიმანდრიტმა მ. ლეონიდმა თავის მობრძანების უმალვე დააარსა მონასტერში სამრევლო სკოლა, შეადგინა მგალობელთა პატარა ხორო და მშვენივრად გადააკეთებინა მონასტრის ვაგლახად დაძველებული სახლები. განზრახვა აქვს მ. არხიმანდრიტ ლეონიდს საგაზაფხულოდ ახალი შენობა დაუდგას მონასტრის სკოლას, გაამშვენებინოს შიგნიდგან მონასტერი, აღმოუჩინოს მონასტერს რაიმე ღონისძიებით შემოსავლიანი წყარო და დაამართვინოს რჩევა-ქადაგებით სამრევლო საქალ-ვაჟო სკოლები კახეთ-ქიზიყის იმ ხალხ-მრავალ სოფლებს, რომელნიც პატარ-პატარა ქალაქებს ჰგვანან თავიანთის გარეგნობით და თითო პირველ-დაწყებითი სკოლაც-კი არ აბადიათ თავიანთ შვილების საბედნიეროდ და ქვეყნის სანუგეშოდ.

⁂ ქუთაისი: აქეთ კარგი დარებია. ახალ სამეურნეო სკოლაში სამადლობელო პარაკლისის გადახდას მრავლად დაესწრო ხალხი. სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ლ. ასათიანმა, დ. ბაქრაძემ და ხოჯაევმა. შემდეგ საუზმეზედ მოწვეულ იქმნენ: ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელი, ბ-ნი გუბერნატორი, ინჟენერები, რომელთაც სკოლის შენობა ააგეს, ქალაქის მოურავი, ახალი პოლიცმეისტერი და მრავალნი სხვანი.

⁂ ახალციხე: კვირას გადავიხადეთ აქ პანაშვიდი განსვენებულ ყაზბეგის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. ბლაღოჩინმა მამა დიმ. ხახუტაშვილმა წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ. დამსწრე საზოგადოებისავე თხოვნით წარმოსთქვა სამგლოვიარო სიტყვა ეკკლესიის გალავანში მღვდელმა მამა იოანნე გვარამაძემ. შემდეგ ბ-ნმა ა. დეკანოზიშვილმა, აქაურ სატყეო სასწავლებლის შეგირდმა, უამბო საზოგადოებას მოკლედ ბიოგრაფია განსვენებულისა და წაიკითხა თავისი ლექსი. მამა გვარამაძეს სიტყვას ჰქონდა შემდეგი ტექსტი სამღვთო წერილისა: «რამეთუ შევმცირდით ჩვენ, მეუფეო, ყოველთა უფროს წარმართთა და დავგლახაკებულვართ ყოველსა ქვეყანასა ზედა დღეს ცოდვათა ჩვენთათვის» ორატორმა განმარტა, რა გაჭირვებულ ყოფაში ვსცხოვრობთ ჩვენ, სვათა შორის, სთქვა: ასეთს გაჭირ-ბოროტებულს და კრულვილ დროებაში თითო-ოროლა ნასწავლნი და ნიჭიერნი კაცნი გვყავს დიდ ნუგეშად და იმათაც უწყალო სიკვდილი თვითოეულად გვტაცებს, გვგლეჯს ძალად ხელიდგან და ასე ჭირი-ჭირზედ გვემატებაო.

ხუთშაბათს პანაშვიდი დანიშნულია აქაურ საქველმოქმედო საზოგადოების დედათა სკოლაში.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

—

შჯულს უფრო დიდი სიკეთე მოაქვს ქვეყნისათვს, ვიდრე ქონებას; სისულელეს უფრო მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე ბოროტ-მოქმედებას.

ლაროშფუკო

**

შვილებისათვის მშობლები წარსულია, მშობლებისათვის შვილები—მერმისი. თუ მშობლებს უოველთვის უფრო მეტად უყვართ შვილები, ვიდრე შვილებს-მშობლები, ეს სამწუხაროა, მაგრამ ასე-კი უნდა იყოს. ვინ მოიძებნება სადმე ისეთი ადამიანი, რომ იმედი მოგონებაზედ ძლიერ არ უყვარდეს?

ედვესი

**

ქვეყნად ადამიანი არ მოიპოვება, რომ თავისუფლება არ უყვარდეს, მხოლოდ სამართლიანი ყველასათვის ნდომულობს თავისუფლებას, უსამართლო-კი—მარტო თავისათვის.

ბერნე

## შემოწირულობა

—

გიგზავნით 25 მ. და გთხოვთ ეს ფული მოახმაროთ შ. რუსთაველის ძეგლის აგებას. აი სია შემომწირველთა: მღ. თ. გულისაშვილი 3 მ., მღ. ნ. გულისაშვილი 1 მან., მღ. ა. გულისაშვილი 2 მან.. მღ. იბედიევი 1 მ., მღ. ნ. ლეონიძე 1 მ., მღ. ზ. ქურდიანი 1 მ., მღ ი. ქურხული 1 მ., მღ. გ. მჭედლიშვილი 1 მ., მღ. ი. ზუკაკიშვილი 1 მ., მღ. რ. ზუკაკიშვილი 2 მ., გ. გულისაშვილი 1 მ., ი. გულისაშვილი 3 მ., ე. მიქელაძე 2 მ., ს. არუთინოვი 1 მ., ნატა ზუკაკოვის ასული 1 მ., ნ. გულისაშვილისა 50 კ, მ. გულისაშვილისა 50 კ., ს. გულისაშვილი 1 მ., ლ. გულისაშვილი 1 მ.*).

გ. გულისაშვილი

ს. საგარეჯო.

## კორესპონდენცია

—

**იმერეთი.** ჩვენში მშვიდობაა. წინა კვირაში ხონის საპატიმროდან სამი ტყვე გაიქცა; საპატიმროს სართული და ჭერი ახდილი დახვდათ „დარაჯებს“ და პატიმარნი აღარსად გახლდნენ! ესე იგი, მათ ხელთ არ იყვნენ, თორემ ახლო სოფლებში თავისუფლად დაბრძანდებოდნენ. გაუჩინეს საქმე მახლობელ მამასახლისებს. „არიქა, შეჰკარით გზები! ტყვეები გაგვექცნენო!“—ბრძანეს „დარაჯებმა“. ბარაქალა თქვენს დარაჯობას! მამასახლისებმა, როგორც იყო და არ იყო, გაქცეულ ტყვეებს ნახტომი შეუშალეს, ერთი დაიჭირეს და ორიც იძულებულ ჰყვეს, თვითონ გამოსცხადებოდნენ მაზრის უფროსს. ეს საქმე იმ მამასახლისებმა ჩაიდინეს, რომელთაც ჩვენებურ „დარაჯების“ წყალობით—ამ გვარად სხვისი სატირალი უნდა იტირონ და თავიანთიკი, სოფლის გაჭირვება, უგზო-უკვლობა, ქურდებისაგან უწყალოდ აწიოკება და სხვა ათასი ჭირი ყურს უკან ჩაატარონ.

დიაღ, ჩვენში მშვიდობაა. დღე არ დაღამდება ისე, რომ სოფელში ერთი კივილ-ჩხივილი და თოფის სროლა არ ასტყდეს: „არ გაუშვათ, მოვიდა ქურდიო!“ უძახის მეზობელი-მეზობელს, სოფელი-სოფელს და ერთი სამამასახლისო მეორეს. მიჰყავთ და მიჰყავთ განუწყვეტლად სამეგრელოსკენ ცხენი და ხარი! ღატაკდება სოფელი... ვინ არის პატრონი? განა არ შეიძლებოდა საქმის შველა? ის ვაჟბატონები, რომელთაც გუშინ ნაპარავი საქონელი გაატარეს, დღეს არხეინად ბრუნდებიან უკანვე დავლა-საშოვრისათვის და ხვალ იგივე კივილი და თოფის სროლა უნდა ასტყდეს სოფელში. რას აკეთებენ ჩვენი „დარაჯები?“ დაჰხვედრიან როდისმე, თუნდ ერთხელ მაინც, თავის დარაჯობის ამდენის ხნის განმავლობაში ამ შემოჩვეულ ქურდებს? სრულიადაც არა! საწყალი სოფელი უხვდება ქურდებს თავის წალდ-ნაჯახით და ნაგუზლით დასაცლელ თოფებით!.. ისე აირია ქრონიკონი, რომ წაღმა-უკუღმისაგან აღარ ირჩევა. სოფელი დღე და ღამ დარაჯობს, „დარაჯებს“-კი დღე და ღამ სძინავთ!! არ იქნებოდა უსარგებლო, რომ ამ ჩვენს „დარაჯებს“ რამდენსამე ხანს ნამდვილ დარაჯებთან ეცხოვრათ. მაშინ იქნება არ მოგვსვლოდა ის, რაც გუშინ მოხდა ხონში. საღამოს შვიდ საათზედ შვიდი დაიარაღებული კაცი, რომელთა შორის ერთს მიქელაიშვილად ასახელებენ, შებრძანდნენ ერთ აქაურ მდიდარ ვაჭართან, რომელთანაც ამ დროს ერთი მუშტარიც ყოფილა; გამოართვეს, თუ რამ ფული მოეძებნებოდა (ამბობენ ორას თუმანზე მეტია), ერთი „ქართული“ ხურჯინიც აბრეშუმეულობით გასტენეს, თითო კავკაური ნაბადიც ზურგზედ მოისხეს—რომ გზაზედ არ შეგვციედესო—„ღამემშვიდობასა“ დაუტოვეს მასპინძელს და წავიდნენ. ქვევითად მიბრძანდებოდნენ. მთელი ბაზარი—„დარაჯებს“ გარდა—უკან დაედევნა'.. სხვა რომ ველარა გაუბედეს-რა, ბაზრის ბიჭებმა ყიჟინა დასცეს, უკივლეს!.. ესეც ჩვენებური ყეენობა!

ხონი პატარა დაბაა. ერთმანერთის ყურადღებით აქაურებს თვალებში ქუქუ, ანუ ჯიჯლიბო გაგვიჩნდა. გარეშეც და უცნობის კაცის შემოსვლას მთელი ბაზარი ერთს საათში შეიტყობს. მაგრამ ჩვენ სირაქლემეებს დავემსგავსეთ: წაგვიყვია თავები ბალიშებში და გავიძახით—„მშვიდობაა, მშვიდობაო!“ ის-კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის ახლა, რომ კავკასია სამხედრო ფეხზედ სდგას და სამხედრო კანონებ ქვეშ სცხოვრობს, როგორც ომიანობის დროს. ჩვენში იტყვიან—თევზი თავიდამ აყროლდებაო და კურდღლის სიცქვიტე მწევრის სიძაბუნემ იცისო.

ან-კი რით არ სუფევს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება ჩვენის „დარაჯებისათვის?“

ვთქვათ, მოდის ვინმე ჩვენებურ მემშვიდობესთან და ჩივის: „გვიშველეთ, მოგვეხმარეთ, ბატონო! მე და ჩემი მეზობელი ერთმანერთს ვაკვდებით—უცილოზედ მეცილება, უდავოს მედავება“.

— ჯერ ხომ არ შეჰკვდომიხართ? ეკითხება მემშვიდობე: როცა შეაკვდებით, მოვალ და საქმეს შევაყენებ.

„ბატონო, შენი ჭირიმე! ეხვეწება მეორე: უგზოობითა და უხიდობით წყალ-ტალახში ვირჩვებით“.

— როცა ჩაირჩვებით, ამოვაყვანინებ დამრჩვალს. ტალახში-კი არა, სარჩობელაზედაც რომ დაირჩვეს ერთი კაცი, იმით ქვეყნის მშვიდობას რა შეარყევს?!

ბარაქალა, ბატონო მემშვიდობევ, თქვენს ვაჟკაცობას! რა გაუტეხელი გულისა ბრძანდებით! რომ თქვენისთანა არა გვყოლოდა ამ შიშიანობის დროს, რაღა გვეშველებოდა?!

XX.

*) ამ ფულისა იყო 431 მ. 42 კ. შესდგა სულ 456 მ. 42 კ.

## რამდენიმე სიტყვა შესახებ ხელთ-ნაწერისა „სწავლა სამკურნალო საშუალებათა“, შედგენილი პროვიზორის ილია ალხაზიშვილისმიერ

შარშან გადმომცა მე პატივცემულმა პროვიზორმა ილია ალხაზიშვილმა გასასინჯავად მის მიერ შედგენილი ხელთ-ნაწერი „სწავლა სამკურნალო საშუალებათა“.

ეს ხელთ-ნაწერი გულმოდგინებით წავიკითხე და ეხლა მინდა შევატყობინო ქართველ საზოგადოებას, თუ რა ღირსებისაა და ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ თხზულებას ქართველთ საზოგადოებისა და ქართულის ენისათვის.

ეს თხზულება სულ ორი დიდი რვეულია, წვრილის ასოებით ნაწერისა. პირველი რვეული შეიცავს ცნობებს, თუ რა წესით და რიგით უნდა შემზადდეს სხვა-და-სხვა ნაირი წამლები: კრებული ბალახები, მალამოები, საცხებლები და სხვანი; ასე რომ ამ პირველს რვეულში აწერილია ყველა რთული წამლები (პლენის პრეპარატები), რომელიც ამ ჟამად იხმარება მედიცინაში. ყოველ წამლის შემდეგ ნაჩვენებია, რა-და-რა სატკივარის დროს იხმარება ეს საშვალება და ან რა ზომით და წესით.

მეორე რვეულში აწერილია სამკურნალო მცენარენი და მათი ნაწილები. ამ რვეულების ბოლოს მოყვანილია სარჩევი ალფაბეტით სხვა-და-სხვა სნეულებათა და იქვე ნაჩვენებია, თუ რანაირად უნდა ეძიოთ რვეულში ამა და იმ სენის განსაკურნებელი ღონისძიება. ერთის სიტყვით, ამ ორს რვეულში შეკრებილია ყოველივე ცნობა, რომელიც დღეს სამკურნალო მეცნიერებას შეუწყნარებია და შეიცავს: ფარმაკოპეას, ფარმაკოგნოზიას, ფარმაციას, ფარმაკოლოღიას და სხვანი.

მკითხველისთვის არა მგონია საჭირო იყოს დაწვრილებით ვუამბო ამ თხზულების შინაარსი და განვუმარტო თითოეულად ყოველი ნაწილი, რასაც იგი შეიცავს; მით უფრო შევიკავეთ თავი ამ ნაირ ვრცელის გაჩხრეკისაგან, რომ ასეთი საქმე ფრიად დიდს ალაგს დაიჭერდა გაზეთში.

მარტო ამას ვიტყვით, რომ ეს შრომა ფრიად საყურადღებოა და, ვგონებ, საზოგადოებისათვის დიდად საინტერესოც უნდა იყოს და აი რა მიზეზის გამო:

ამ გვარი თხზულებანი ადვილად იწერება ყოველ ევროპიულს ენაზე, აგრეთვე რუსულადაც, იმიტომ რომ ამ ენებს უკვე შემუშავებული აქვსთ ამ გვარ წერისათვის საკუთარი ტერმინები. ხოლო ქართულს ენაზედ ამ გვარი ტერმინოლოგია არ არსებობს. მაშასადამე, პატივცემულის ილ. ალხაზიშვილის მხრით ეს ხელთ-ნაწერი მოითხოვდა დიდს ენერგიას, საფუძვლიანად შესწავლას ამ საგნებისას, შეკრებას ყოველ ცნობისა და ტერმინებისას, როგორც სალაპარაკოს, ისე მწიგნობრულს; მოითხოვდა აგრეთვე შეთანასწორება ქართულს ენაში ნაპოვნთ ცნობათა იმ ცნობებთან, რომელიც ევროპის სწავლა-მეცნიერებამ უკვე დააფუძნა და შეურყევლად დაამკვიდრა. ამ გვარი შრომა სწორედ დიდი შრომაა და, რამდენადაც ვიცი, ამან დიდი დროც მოითხოვა. პროვიზორმა ილია ალ-

ხაზიშვილმა თხუთმეტ წელზედ მეტი ხანი იშრომა ამ თხზულებაზედ.

ახლა ვნახოთ, რა ვალდებულობა აქვს ქართველ საზოგადოებას შესახებ ამ თხზულებისა. როგორც შევიტყეთ, ამ ხელთ-ნაწერის ბედი ასე წასულა: ორივე რვეული, გაუთავებია თუ არა ბ-ნს ალხაზიშვილს, მაშინვე „ივერიის" რედაქციაში გაუგზავნია იმ აზრით, რომ მცოდნესთვის გადაეცათ თხზულება გასასინჯავად. რადგანაც ამ რედაქციას იმ ჟამად არა ჰყოლია სახეში ქართულის ენის შესაფერი მცოდნე, რვეულები გადაუცია წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოებასაც ვერაფერი გადუწყვეტია. მაშინ ბ-ნ ალხაზიშვილს გადუცია რვეულები ახლად დაწესებულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისათვის, რომ ამ ამხანაგობას ეტვირთა, როგორც გადაშინჯვა, ისეც დაბეჭვდა. ხსენებულს ამხანაგობას, თუმცა მოსწონებია და სასარგებლოდ დაუნახავს ეს წიგნები, მაგრამ რადგანაც საკმაო თანხა არ ჰქონია, ამიტომ უპასუხნია ალხაზიშვილისათვის, რომ, თუ გსურთ, ერთის წლის შემდეგ, პირველის წიგნს დავბეჭდამთო და ორის წლისშემდეგ—მეორე წიგნსაო,—ამ გვარარად აქამდის ეს ფრიად შესანიშნავი, სასარგებლო ნაწერი ბ-ნ ალხაზიშვილისა სდევს თახჩაში და მტვერი ეყრება ზედ.

ჩემის აზრით, როგორც წერა კითხვის საზოგადოებას, ისე ყოველ გვარ საზოგადოებას, რომელსაც-კი ცოტა ოდნად შესტკივა გული ქართულის ენისათვის, უნდა მიექცია ამ შრომისათვის ჯეროვანი ყურადღება, არ დაეზოგა ღონის ძიება, რათა სტამბა ჰღირსებოდა მას და მით შეჰმატებიყო ამ ნაირი ახალი განძი ჩვენს ღარიბს ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას. დასასრულ, მივცემ ჩემს თავს ნებას, ვაღიარო გულწრფელად ჩემი კაგვირვება იმის გამო, თუ რა დიდი საქმე შესძლებია მრავალის წლის განმავლობაში დაუღალავს შრომას. პროვიზორ ალხაზიშვილის ნაწერები ცხადად გვიჩვენებს თუ სურვილს, ენერგიას და სამშობლოს ენის და ხალხის სიყვარულს რა დიდი საქმე შეუძლია. ამას ზედ დავსძენ, რომ ბ-ნი ალხაზიშვილი კმაყოფილი და დაჯილდოებული იქმნება, თუ ქართველი საზოგადოება მიაქცევს ამ შრომას ყურადღებას და აღირსებს სტამბას; ამ ნაირი ყურადღება საზოგადოების მხრით მოუმატებს ენერგიას ამ საკვირველს შრომას და იძულებულ ჰყოფს განაგრძოს კვლავ თავისი მუშაობა და მით განავრცელოს ჩვენს საზოგადოებაში ის ცნობანი, რომელიც ეხლა განსაკუთრებით იმათ ხელშია, რომელთაც სპეციალურათ შეუსწავლიათ საექიმო და სამკურნალო სწავლა-მეცნიერება.

ახალციხის მაზრის ექიმი
ვასილი გამრეკელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამ დღეებში დაბეჭდილი იყო თქვენს გაზეთში წერილი ბ-ნ ივანე სულხანიშვილისა პატარა ლიახვზედ ხიდის გაკეთების გამო. ჩვენ, გორის მაზრის თავად-აზნაურობამ, რაც-კი შეგვეძლო, ყოველ ნაირი შემწეობა აღმოვუჩინეთ პატარა ლიახვის ხიდის გამკეთებელთ. მოთავეთ ამ საქმისა გახლდათ ხსენებული სულხანიშვილი, საქმის აწარმოებლად-კი ცხინვალის პოლიციის ბოქაული. მოთავეობა ის იყო, რომ ბ-ნ სულხანიშვილს უნდა მუქთად შეეკრიბა მასალა: ხე-ტყე, ფიჩხი, ფული და სხვ., მუშა ხომ ბეგრით იყო სოფლებიდგან. ხე-ტყეში ჩვენგანმა უარი არავინ უთხრა. ხიდი გაკეთდა; ეხლა-კი გვეუბნებიან, ინგრევაო, ასე რომ ამოდენა მასალა, დრო, მუშა, ფული დაიკარგა: ესეც-კი საკითხავია, რომ იმისთანა გიჟ მდინარეზედ, როგორც პატარა ლიახვია, ხიდი კეთდება, და საქმეს უნდა აწარმოებდეს მარტო პოლიციის ბოქაული. ნუ თუ გაუძნელდათ ერთის კვირით მაინც ინჟენერის მოწვევა? თურმე საქმის მწარმოებელს ჰყავდა ინჟენერის მაგიერ ერთი უბრალო დურგალი და, რასაკვირველია, კეთილი არა გამოვიდა-რა. როცა ხიდი გაკეთებული იყო (ჯერ სიარული ხიდზედ არ შეიძლებოდა) მე და სამმა ინჟენერმა, რომლებიც ცხინვალისკენ მიდიოდნენ სამუშაოდ, გზად გავიარეთ ხიდის გვერდზედ, დავდექით და მათ, ჩემის თხოვნით, ხიდს სინჯვა დაუწყეს; როცა კარგად გასინჯეს, ასე მითხრეს: ბეჯითად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ხიდი თავის სიმძიმის გამო ჩაინგრა, ხოლო მიწის მუშაობა შაურად არა ჰღირს.

გთხოვთ ამ მოკლე წერილს თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ, რითაც ბევრს გააგებინებთ, რომ იმან უნდა გაიაროს ხსენებრულს ხიდზედ, ვისაც სიკვდილი და თავის-გაწირვა უნდა.

თავ. კონსტანტინე ხერხეულიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ჟურნალ «Образованіе»-ს ნოემბრის წიგნში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ქ-ნ სტრანნოლიუბსკისა ჩიკაგოში გამართულ მსოფლიო საპედაგოგიო კონგრესის შესახებ. სხვათა შორის, წერილის ავტორი ასე აღნიშნავს კონგრესის მნიშვნელობას:

კონგრესმა დაამტკიცა, რომ მთელის განათლებულის ქვეყნისათვის ყოველივე საგანი აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ საერთო და საზოგადოა ყველასათვის. ამ საგანმა ერთად შეაერთა ერთ დიდ-ოჯახად ყველა პედაგოგნი და ერთის დიდებულის აზრისათვის აშრომა—ეს დიდებული აზრი ადამიანის განათლებაა. ყველანი დარწმუნდნენ, რომ როდესაც ყველანი ქვეყნად დაქასულნი არიან და უშორეულესს ადგილებშიაც-კი თავისს პაწია საქმეს აკეთებენ, ერთსა და იმავე იდეალს ემსახურებიან, ერთსა და იმავე მასწავლებლის კვალს მისდევენ.

ეს კონგრესი კიდევ იმითი ყოფილა შესანიშნავი, ქ-ნ სტრანნოლიუბსკის აზრით, რომ დედაკაცებს დიდი მონაწილეობა მიუღიათ.

ქალები ეხმარებოდნენ კონგრესის მოწყობას, ზოგიერთს კრებაზედ თავმჯდომარეობდნენ, სიტყვებს ამბობდნენ, კამათში მონაწილეობას იღებდნენ. მსმენელთა შორისაც უმრავლესობა დედაკაცობა იყო, ერთის სიტყვით, ნათლად დაამტკიცეს, რომ საზოგადო საქმის ხელმძღვანელის ამორჩევის დროს სქესს-კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ განათლებას, მოხერხებულობასა და ბუნების ნიჭს. ამერიკელები ამ მხრივ ჩვენთვის კარგნი მაგალითნი არიან და გზას გვიჩვენებენ. ამერიკის ქალებმა თითქმის სავსებით შესძლეს თავისის ადამიანურის ღირსების დაცვა, აქამდე-კი მხოლოდ დედაკაცები იყვნენ, ეხლა ადამიანებად გადაიქცნენ და იმათ ბედნიერს სამშობლოში ეხლა საკამათო აღარ არის ის გარემოება, ქალებს აქვსთ თუ არა უფლება თავისუფლად ყოფნისა, განათლების მიღებისა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობისაო.

## რუსეთი

უწმ. სინოდის ობერ პროკურორი ვ. კ. საბლერი ძლიერ ავად არის გაძნელებულის ინფლუენციით. ავადმყოფს ორი ექიმი სწამლობს. 9 დეკემბერს კიდევ ავად გახდნენ უწმ. სინოდის კანცერარიის მმართველი ს. ვ. კერსკი და სინოდისავე მმართველობის უფროსი ილინსკი.

სიმფეროპოლიდგან სწერე ნგაზეთ „Новости"-ს: მელიტოპოლის ერობაში ერთს მოსამსახურე ფერშალს, როგორც თითონ ამტკიცებს, მოუგონია უებარი წამალი ქუნთრუშისა, ყელჭირვებისა და ხარის ყვავილისა. ეს ფერშალი თითონ მივიდა გუბერნიის უფროსთან და სთხოვა, ნება მიბოძეთ ავადმყოფებზედ გამოვცადო ჩემ მიერ მოგონილი წამალიო.

პეტერბურგის საპედაგოგიკო მუზეიში გაიმართა ბაზარი შინაურ მრეწველობისა. ბაზარში ბევრი ნივთები არ არის. გაზეთი „Нов. Вр." ამბობს, რომ საბედნიეროდ რუსეთში ქარხნის მრეწველობას ჯერ არ მოუსპია შინაური მრეწველობა. ამ მხრივ იქნება კარგიც იყოს, რომ რუსეთი დასავლეთ ევროპას ჩამორჩა. შინაური მრეწველობა ჯერ მარტო იმიტომ არის კარგი, რომ მრეწველი თავის სახლში მუშაობს და ამიტომ თავიდგან აცილებული აქვს ქარხნების ცუდი გავლენა ზნე-ჩვეულებაზედ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** თუმცა საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კაზიმირ-პერიეს მიერ წარდგენილი პროექტები ანარხისტთა წინაამდეგ, სამინისტრო მაინც დიდს ფიქრშია ანარხისტების საქმის გამო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ვალიანი მარტო არ ჰმოქმედებდა, არამედ ბევრი მომხრე ჰყავდა და ანარხისტთა დასმა დაავალა ყუმბარის აფეთქება. შუაზელ-რუაში უკვე დააპატიმრეს თერთმეტი კაცი, რომელთაც ბრალსა სდებენ ვალინის საქმეში. 12 უცხოელი ანარხისტი განდევნეს საფრანგეთიდგან. ბევრს სახლები გაუჩხრიკეს, აგრედვე გაჩხრიკეს „En Dehors"-ის რედაქცია.

ამ რედაქციიდგან პოლიციის კომისარი წავიდა რუსეთის ქვეშევრდომ შტაკელბერგის დასაპატიმრებლად. შტაკელბერგი და მისი ცოლი შინ არ დაუხვდნენ. სახლში უთხრეს: შტაკელბერგის ცოლი ამა და ამ ადგილას არისო. წავიდა იქ კომისარი. შტაკელბერგის ცოლმა უთხრა, ჩემი ქმარი მხოლოდ სოციალისტთა დასს ეკუთვნის და ანარხისტებთან არა აქვს-რა საერთოო.

ანარხისტებმა რამდენიმე კრება მოახდინეს, მაგრამ საზოგადოდ კრებებმა წყნარად ჩაიარა. ერთ კრებაზედ კრების თავმჯდომარემ დაინახა პოლიციის კომისარი და დაცინვით, თუმცა თავაზიანად-კი უთხრა: „სალამი ჩვენს ძველს ნაცნობს, რომელიც მეორე იმპერიის დროს აქედ არ გვინახავს. მაგრამ მაინც ჩვენთვის უფრო სასიამოვნოა, რომ პოლიცია ოფიციალურად დაესწრებოდეს ხოლმე ჩვენს კრებას, ვიდრე ჯაშუშები გამოჰგზავნოს ხოლმე".

მხოლოდ ერთს ალაგას მოხდა უწესოება. ანარხისტები ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ვალიანს!" გაუმარჯოს სისხლის ღვრას! შორს ჩვენგან დეპუტატნი! შორს ჩვენგან ბურჟუაზია!" მაშინ პოლიციამ ორი ანარხისტი დააპატიმრა: ერთი ვიღაც ნოქარი და ერთიც ასტრონომიის პროფესორი (!) ჟორჟ მუაჩჩი.

**იტილია.** იტალიის გაზეთები დიდის სიფრთხილით ჰლაპარაკობენ კრისპის სამინისტროს მოსალოდნელ პოლიტიკის შესახებ. მათი უმრავლესობა, მაგალითებრ „Fantulla", „Diritto" და „Opinione", იმას ამჯობინებენ, რომ ჯერ მოქმედება დაიწყოს ახალმა კაბინეტმა და მერე გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსაო. მხოლოდ კრისპის გაზეთი „Riforma" ამბობს, რომ ახალს სამინისტროს საგნად „ყოველისავე შეთანხმება და მშვიდობიანობის ჩამოგდება" ექმნება აზრადაო. ეს საგანი ამტკიცებსო, რომ დრო და ჟამის მოთხოვნილების ალღო კარგად აუღია სამინისტროსაო. „Popolo Romano" იმ აზრისაა, რომ კაბინეტი შეესაბამება აწინდელს პარლამენტსაო. გაზეთის უმრავლესობა თანაგრძნობით იხსენიებს გარეშე საქმეთა მინისტრს ალბერტ ბლანკს. „Tribuna" ამბობს; ბლანკის დანიშვნა აშკარად აღნიშნავს მშვიდობიანობის სიმტკიცესა და იტალიის სრულს დამოუკიდებლობას სადიპლომატიო ასპარეზზედაო. „Italia" საჭიროდ ჰრაცხს, რომ დაუყოვნებლივ იქმნას განხილული სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა.

## გასართობი

ერთი კაცი სადილობისას სასტუმროში მივიდა და იკითხა:

— რა ღირს აქ სადილიო?

— მანეთიო, უპასუხეს.

— ვახშამი?

— ათი შაური.

— მაშ ვახშამი მომიტანეთ.

**

ერთი უმაწვილი კაცი ერთს ქალს ეარშიყებოდა და ყურები გამოუჭედა, როცა ბიძა ჩემი მოკვდება, დიდ მალი მამული და ფული დამრჩება და ყველაფერს თქვენ მოგართმევთო. ამ ლაპარაკით ქალს მეტად მოაბეზრა თავი. ქალმა თავის მოსამსახურეთ უბძანა, ეგ კაცი იმ დრომდე აღარ შემოუშვათ ჩემ სახლში, ვიდრე ბიძა არ მოუკვდება და სამკვიდროს არ ჩაიბარებსო.

**

ამერიკის ერთი გაზეთი ბოროტებად სთვლის: ავაზაკს მოსამსახურეს; ბუხარს, რომლიდგანაც ბოლი გამოდის; კოჭლს ცხენს; ნაზს მეუღლეს; ატკიებულს კბილს; ცალიერს ქისას; ურჩს უმაწვილს; ურჯულო სიდამიანს; ჩლუნგს სამართებელს და მუქთს ხელის-მომწერელს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

რუსეთის მწერალის ი. ს. ტურგენევის ზოგიერთი თხზულებანი დიდიხანია გადათარგმნილი იყო ინგლისურს ენაზე, მაგრამ სრული კრებული მისის თხზულებისა-კი არ დაბეჭდილა. ამ ჟამად ლონდონის ერთი წიგნების გამომცემელი ამხანაგობა აპირებს ტურგენევის თხზულებათა სრულ კრებულის გამოცემას ათ თუ თორმეტ წიგნად. თარგმანს აბეჭდებს ქ-ნი ედვარდ მარნეტტი, რომელმაც სახელი გაითქვა ლეონ ტოლსტოის ზოგიერთ ნაწარმოების გადათარგმნით. ტურგენევის თხზულებას წინასიტყვაობა და შენიშვნები ექმნება.

უცხოეთის თანამედროვე დედათა შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს ანნა ბიზანტს. ბევრის მხრივ არის ეს ქალი შესანიშნავი. შთამომავლობით მისი გვარი გუდაა. ოცის წლისა იგი 1867 წ. მისთხოვდა ინგლისის მღვდელს ფრანკ ბიზანტს, მაგრამ ხუთის წლის შემდეგ განშორდა. სოციალურ და საპოლიტიკო აზრებმა გაიტაცა ეს ქალი. 1874 წ. მიემხრო ესრედ წოდებულს საეროვნო საზოგადოებას და დიდად დაუახლოვდა ამ საზოგადოების უმთავრესს მოღვაწეს ცნობილს რადიკალს ბრადლოს. 1883 წელს იგი მიემხრო სოციალიზმს და რამდენისამე წლის განმავლობაში აზრის თავისუფლებას ჰქადაგებდა. რამდენისამე წლის შემდეგ ეს გზაც უარ-ჰყო და 1889 წელს თეოსოფთა საზოგადოებას მიემხრო და მისს მოძღვრებას მხნედ დაუწყო ქადაგება. ეს ამ ქალის ცხოვრების მცირე ნუსხაც ჰმოწმობს, რამდენადაც საინტერესო და საყურადღებოა მისი თავგადასავალი.

პარიჟში დააპატიმრეს ალექსანდრე კოგანი გაუპტმანის პიესის »Ames Solitaires» მთარგმნელი. თვით პიესის წარმოდგენაც აღკრძალა მთავრობამ, თუმცა იმიტომ-კი არა, რომ შინაარსი პიესისა მთავრობის წინაამდეგი იყოს, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება ეს პიესა ხალხმა თავისებურად გაიგოსო. ახალგაზრდობამ თავისი უკმაყოფილება გამოაცხადა ამ პიესის აღკრძალვის გამო.

## გამოსადეგი ცნობა

ფოლადისა, ვერცხლისა და ოქროს ნივთების გაწმენდა. ჟანგმოკიდებულ ფოლადის ნივთის გასაწმენდად საჭიროა მხოლოდ, რომ ჟანგი ღვინის წმინდა სპირტით ჩამორეცხოთ, გააშრალოთ და მერე ნახერხით კარგად გაწმინდოთ, მისხალ ნახევარ ქაფური ერთს ჭიქა წყალში რომ ჩაჰყაროთ, შიგ ოქროს ნივთები ჩააწყოთ კარგად წამოადუღოთ, სრულიად გაიწმინდება და გასუფთავდება. რაც შეეხება გაშავებულს ვერცხლის ნივთებს, საჭიროა ამ სიშავეს ასაცილებლად წყალნარევ გოგირდ-შორის მარილში *) გარეცხოთ, ან რამდენსამე ხანს დასტოვოთ ამ წამალში და საუცხოოდ გაიწმინდება.

შავის ხავერდის და ბამბის ხავერდის (პლისის) განახლება. რაც უნდა კარგად იყოს ხავერდი გაწმენდილი, ზოგიერთი ჩაზნექილი, დათელილი და გადასული ადგილი შესატყობი და ცუდი სანახავი იქმნება, ამისათვის ხავერდის განსაახლებლად ხაო უნდა გაუსწოროთ. აიღეთ წმინდა უსამო წინდის ნაჭერი, დაასველეთ წყალ-შურეველს სპირტში და რაიც შეიძლება კარგად გაწმინდეთ ხოლო ჩაზნექილი ადგილი. შემდეგ ხაოს გასწორებას ეცადენით. ამისათვის ხავერდის პირის ადგილი კვლავ სპირტში დაასველეთ, ხმელი ჩოთქით გაწმინდეთ და რამდენსამე ხანს ცხელის წყლის ორთქლზედ გაჭირეთ.

*) Сѣрнонатріевая соль.

ქსოვილი რაც შეიძლება ახლო უნდა გაჰშიროთ ადუღებულ წყალთან, ისე რომ კარგად დაიორთქლოს ხაო და ნაქსოვს-კი წყალის წვეთები არ მოხვდეს, შემდეგ ორთქლით შემთბარი ხაო იმავე ხმელის ჩოთქით უნდა გახეხოთ ხაოს პირ-აღმა. თუ ამანაც არა უშველა-რა, რამდენჯერმე განიმეორეთ ეს საშუალება. ბოლოს როდესაც ხაო რიგიანად დადგება, ხავერდი უნდა გააშროთ. თუ ამისგამო ხავერდს ფერი დაეკარგა, უნდა ეცადოთ წინანდელ ბრწყინვალების დაბრუნებას. ამისათვის სქელს, ზეთიანს ქაღალდზედ რამდენიმე წვეთი ნუშის წვენი დაასხით, კარგად და რაც შეიძლება ზომიერად გაწმინდეთ ხოლო პირ-აღმა. როდესაც ჩვეულებრივს ბრწყინვალებას დაიწყებს, ხავერდი თბილს ადგილს უნდა დაჰკიდოთ გასაშრობად.

# დეპეშა

14 დეკემბერი

**პეტერბურგი.** დღეს მინისტრის თანაშემწეს პლევეს თავმჯდომარეობით დაიწყო კრება შესახებ იმ ღონისძიებათა, რომელიც საჭიროა მიღებულ იქმნას მოუსავალ წლებში ხალხის გამოსაკვებად; განიხილეს საქმე ჰირნახულის დაზღვევისა.

სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ფინანსთა მინისტრის მოხსენება იმის გამო, რომ სავაჭრო-სამრეწველო აზრით დაარსებულ სააქციონერო ამხანაგობათ დაევალოთ ყოველ წლივ აიღონ ხოლმე ჯეროვანი სავაჭრო მოწმობანი.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,61 | 7,63 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | 152³/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 246¹/₂ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 220¹/₂ |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—140)

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

## თამარიანი

ისტორიული პოემა

შაირ წყობილად თქმული

თ. ს. გუგუნავას-მიერ

მეორე გამოცემა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

—

## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო საავადმყოფო-სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ ბრონტასევიჩი**, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ბ. კარაშეტიანცი**, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეშურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7¹/₂ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

**ფასი 50 კაპ.**

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

**ფასი 40 კაპ.**

## საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

**ფასი 20 კაპ.**

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

**ფასი 5 კაპ.**

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

## დონნერ და ლეიტცი

### ცირარდის მაღაზია

### სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა

მიიღეთ:

მატყლის ქსოვილი საბნები, პლედები, შალები. ნორმალური ფუფაიკები, ჩულქები, წინდები, საჰიგიენო ფუფაიკები crêpe de santè და სხვ. დიდ-ძალი მატყლის ქსოვილი საბნები დაწესებულებათათვის, სულ იაფ ფასიდგან დაწყობილი. მსურველთ პრეისკურანტი უსასყიდლოდ გაეგზავნებათ.

2802104—101